## განცხადება

ჟურნალის *Caucasus Journal of Health Sciences and Public Health* რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ღვაწლმოსილი ექიმი, მკვლევარი და პედაგოგი, პროფესორი მზია წერეთელი და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

2017

## Statement

Editorial Board of the *Caucasus Journal of Health Sciences and Public Health* with deep sorrow informs that died a member of the Editorial Board of the Journal, Honored Doctor, Researcher and Teacher, Professor Mzia Tsereteli and expresses deep condolences to her family.

2017



**მზია წერეთელი-**
**ღვაწლმოსილი ექიმი, მკვლევარი და პედაგოგი**

1927 წელს ექიმმა, პროფესორმა ნიკო მახვილაძემ დაარსა შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც წლების მანძილზე მოღვაწობდა არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და გამოცდილი ექიმი. მათ ღირსეული წვლილი შეიტანეს მოსახლეობის შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების მეტად ჰუმანურ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში, ახალგაზრდა მედიკოს-სპეციალისტთა დაოსტატების პროცესში.

ინსტიტუტში მოღვაწე მეცნიერების ღირსეული წარმომადგენელი იყო ქალბატონი მზია წერეთელი - შრომის მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწე, მეცნიერი, ექიმი-პროფპათოლოგი.

ქალბატონი მზია დაიბადა ქ. თბილისში, 1927 წლის 29 მაისს, ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ქალბატონ თამარ აბაშიძისა და ცნობილი იურისტის, პროფესორ ნიკოლოზ წერეთლის ოჯახში, სადაც ეზიარა სამშობლოს და მოყვასის სიყვარულს, ერთგულებას, გულისხმიერებას, სამშობლოსადმი უანგარო სამსახურს.

ქ-ნი მზია იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც ბედნიერ დღეებთან ერთად ბევრი სიმწარეც გამოიარა. მიუხედავად ამისა, ან იქნებ სწორედ ამის გამოც, მას საოცრად სიცოცხლისუნარიანი და უდ-

**Mzia Tsereteli -**
**Honored Physician, Researcher and Teacher**

In 1927 Professor Niko Makhviladze founded the Scientific Research Institute of Labor Medicine and Ecology, where many outstanding scientists and experienced physicians worked for years. They contributed a lot to such humanistic and significant process as improvement of labor conditions and strengthening of health of the population, as well as in the professional development of young medical specialists. Mrs. Mzia Tsereteli was a distinguished representative of scientists working in the Institute - a well-known specialist of labor medicine, scientist, and physician-occupational pathologist.

Mrs. Mzia Tsereteli was born on May 29, 1927, in the family of Tamar Abashidze, physician, candidate of medical sciences and famous lawyer, Professor Nikoloz Tsereteli, where she learned to love the motherland and love of neighbor, loyalty, compassion, and selfless service for the motherland.

Mrs. Mzia Tsereteli belonged to that generation, who alongside happy days had a lot of bitterness. Nevertheless, and perhaps, that is why she had a viable and determined

რეკი ხასიათი ჩამოუყალიბდა. ეს მეგობრობის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, საოცრად მიმზიდველი იყო, ხოლო მისი სიცოცხლის სიყვარული და ოპტიმიზმი გადამდები. ვისაც კი ქალბატონ მზიასთან შეხება ჰქონია, არასდროს დაავიწყდება ეს მებრძოლი ხასიათის, ადამიანი, დახვეწილი იუმორით, უზადო გემოვნებით, მისი გულისხმიერება და ზრუნვა ნებისმიერ ადამიანზე. და აქ მისი მასშტაბი განუზომელი იყო.

1949 წლიდან - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონი მზია მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმ-ორდინატორად. ხოლო 1956 წლიდან გარდაცვალებამდე ნ. მახვილაძის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ს/კ ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა მეცნიერ-თანამშრომლიდან ამავე ინსტიტუტის პროფესიული დაავადებათა განყოფილების ხელმძღვანელამდე. სხვადასხვა პერიოდში იგი იყო სააქციო საზოგადოების - ნ. მახვილაძის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილე.

ქალბატონი მზია გამოცდილი ექიმი-პროფპათოლოგი და კვალიფიციური სპეციალისტი იყო. ინსტიტუტის კლინიკის პირობებში და წარმოებებში სისტემატური გასვლებით, დიდი ენერგიით და პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურებოდა ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის პროფესიული ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ქალბატონი მზიას სამეცნიერო კვლევების შედეგები გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით და ანალიზის სიზუსტით. იგი უბადლო იყო მეცნიერული კვლევების შედეგების შეჯამების და განსჯის სფეროში, ავლენდა პრობლემის ღრმა ცოდნას, ერუდიციას, ანალიტიკურ ნიჭს.

აღსანიშნავია ქალბატონი მზიას როლი პროფესიული პათოლოგიის მიმართულებით ახალგაზრდა მედიკოსთა აღზრდისა და ჩამოყალიბების მეტად საპატიო საქმეში. იგი წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში იუნესკოს ეგიდით შექმნილი ჯანსაღი ცხოვრების წესის კათედრის პროფესორი; მრავალი ათეული წლის მანძილზე მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტის პროფესიულ დაავადებათა განყო-

character. Endowed with the gift of friendship, she was very attractive and her love for life and optimism were contagious. Anyone who had contacted Mrs. Mzia will never forget her fighter character, sophisticated humor, flawless taste, her intention and care for any person.

Since graduating from the medical faculty of Tbilisi State Medical Institute in 1949, Mrs. Mzia has worked as a doctor-ordinator of the Therapeutic Department of the Republican Central Clinical Hospital. Since 1955 to the end of life she worked at the N. Makhviladze Scientific-Research Institute of Labor Hygiene and Occupational Diseases, where she passed a career from scientific worker to the Head of the department of Occupational Diseases. In various periods she was deputy Chairperson of the Board of Directors of the Research Institute of Labor Medicine and Ecology and Deputy Director General.

Mrs. Mzia Tsereteli was a very experienced occupational pathologist and qualified specialist. In the clinics of the Institute and at systematic visits to various enterprises she served professional health care of the country's employed people with great energy and sense of responsibility.

Results of Mrs. Mzia's scientific researches are distinguished by the diversity of topics and the precision of analysis. She was incomparable in the area of summarizing and analyzing the results of scientific researches, showed in-depth knowledge of the problem, erudition, and analytical talent.

Ms. Mzia's had wide scientific interests. Special interest deserve her works devoted to the study of the problem of dust-induced occupational pathology. He detected and described the impact of tobacco dust on cardiovascular system; she determined that tobacco dust causes pathological changes in the heart muscle and coronary blood vessels. She played important role in determination of regional occupational pathology – manganese-induced disease.

ფილების ბაზაზე წარმატებული ექიმი-პროფპათოლოგების მრავალი თაობა გაიზარდა.

ფართო იყო ქალბატონ მზიას სამეცნიერო ინტერესების სფერო. უაღრესად საინტერესოა მტვრისმიერი პროფესიული პათოლოგიის პრობლემის შესწავლისადმი მიძღვნილი მისი შრომები. მან გამოავლინა და აღწერა თამბაქოს მტვრის გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე; დაადგინა, რომ თამბაქოს მტვერი გულის კუნთსა და კორონარულ სისხლძარღვებში პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. მეტად მნიშვნელოვანია მისი დამსახურება სამხარეო პროფესიული პათოლოგიის - მანგანუმისმიერი დაავადების დადგენაში. მის მიერ შესწავლილია მანგანუმის აეროზოლებითა და საწარმოო ვიბრაციით გამოწვეული გულ-სისხლძარღვთა სისტემის სპეციფიკური და არასპეციფიკური რეაქციები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონი მზიას დამსახურება პროფესიულ დაავადებათა დამდგენი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ მუშაობაში. წლების მანძილზე მან დიდი ღვაწლი დასდო დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას პროფესიული მედიცინის თვალსაზრისით. ცნობილია მისი პრინციპულობა და სამართლიანობა სწორი პროფესიული დიაგნოზის დადგენის და დასმის, დროს.

ქალბატონი მზია გახლდათ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონგრესების და კონფერენციების მონაწილე, მისი მოხსენებები დიდ ინტერესს იმსახურებდა მსმენელთა შორის, იგი არის 160-ზე მეტი სტატიის, მეთოდური მითითებებისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

ქალბატონი მზიას მრავალმხრივი პროფესიული საქმიანობა ღირსეულ ასახვას პოულობს მის რეგალიებში: იგი იყო იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი.

ქალბატონმა მზიამ შექმნა ღირსეული ქართული ოჯახი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორთან, ბატონ გივი ალასანიასთან ერთად; მათ აღზარდეს სასახელო შვილები: ქალბატონი გიული ალასანია, ისტორიკოსი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძ-

She has studied specific and non-specific reactions of cardiovascular system caused by manganese aerosols and industrial vibration.

It should be noted her role in education and formation of young doctors in the field of occupational pathologies. For years she was a Professor of the Chair of Healthy Lifestyle at Tbilisi State Medical University established under the aegis of UNISCO. Many generations of successful physicians in the field of occupational pathologies were grown under her leadership at the department of Occupational Diseases of the Institute.

Mrs. Mzia's merit is particularly remarkable in the work of as the Chairperson of the Republican Committee on Identification of Occupational Diseases. For years she made a significant contribution in the assessment of health status of employees in terms of occupational medicine. She was known for her adherence to principles and fairness in the process of determining the correct professional diagnosis.

Mrs. Mzia Tsereteli was participant of many international, All-Union and republican scientific congresses and conferences. His reports were of great interest among the listeners. She is the author of more than 160 articles, guidelines and textbooks.

Mrs. Mzia's versatile professional activity is worthily reflected in her regalia: she was a Member of International Association of Immunology and Allergology, Academician of the Georgian Academy of Preventive Medicine, holder of the Order of Honor.

Mrs. Mzia created a decent Georgian family with Professor of Agricultural Institute Mr. Givi Alasania. They brought up worthy children: Mrs. Giuli Alasania, historian, professor, one of the founder and president of the University of Georgia, and Mr. Temuri Alasania, diplomat, professor, who worked at the US and Canadian Embassies for years and was head of one of the important division at the United

ნებელი და პრეზიდენტი და თემურ ალასანია, დიპლომატი, პროფესორი, რომელიც წლების მანძილზე იყო აშშ-ში, კანადაში საელჩოების თანამშრომელი, აგრეთვე დიდი ხნის მანძილზე გაეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახურის ხელმძღვანელი; ქალბატონ მზიას დარჩა შვილიშვილები: მიხეილ სააკაშვილი- საქართველოს პრეზიდენტი 2004-2013 წლებში; ნიკა და გიორგი ალასანიები, რომლებიც წარმატებულად მოღვაწეობენ აშშ-ში; ამასთანავე - ხუთი შვილთაშვილი.

ქალბატონ მზიას ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დაამჩნია საქართველოში პროფესიულ დაავადებათა შესწავლას და დიდი წვლილი შეიტანა შრომის მედიცინის განვითარების საქმეში როგორც თავისი პრაქტიკული საქმიანობით, ასევე სათანადო კადრის აღზრდით. იგი ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან და სამუდამოდ დაგვიტოვა თბილი მოგონებები ამ ნათელ პიროვნებასთან ერთად გატარებულ წუთებზე.

ჩვენ, მისი კოლეგები და მეგობრები ამ სამაგალითო პიროვნებას მუდამ სითბოთი და მადლიერებით გავიხსენებთ.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

*საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია*

*ნ.მახვილაძის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი*

2017

Nations. Mrs. Mzia’s left grandchildren: Mikheil Saakashvili, President of Georgia in 2004-2012; Nika and Giorgi Alasania, who successfully work in the United States; She also has five great-grandchildren.

Mrs. Mzia's long and fruitful activity has a deep trace in studying occupational diseases in Georgia and has contributed to the development of labor medicine with her practical activity and preparation and upbringing of qualified human resources in the field. She has gone from us and left warm memories of the times spent with her.

We, her colleagues and friends will always remember this exemplary person with warmth and gratitude.

*Tbilisi State Medical University*

*Georgian Academy of Sciences of Preventive Medicine*

*N. Makhviladze Scientific-Research Institute of Labor Medicine and Ecology*

2017